განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

,,ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი 26 ნოემბერი 2021

დასკვნის წარდგენის თარიღი 21 იანვარი 2022

თბილისი
2022

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205224700
დაწესებულების სახე	უსდ

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ფსიქოლოგია
უმაღლესი განათლების საფეხური	უმაღლესი განათლების პირველი საფეხური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ფსიქოლოგიის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0313 - ფსიქოლოგია
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული ენა
ECTS კრედიტების რაოდენობა	240 კრედიტი
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 28 ნოემბრის #738 გადაწყვეტილება).

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი,	ქეთევან ბერიძე, ბსუ, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნათია სორდია, თსუ, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიამ ალანია, საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, ჯიპა, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ქიმერიძე, თსუ, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლანა ბოკუჩავა, ნიუ-ვიჟენ უნივერსიტეტი - სტუდენტ ექსპერტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამა „ფსიქოლოგია“ აკრედიტებულ რეჟიმში მუშაობს 2012 წლიდან (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 28 ნოემბრის № 738, გადაწყვეტილება).
- 2019 წლის ივლისამდე პროგრამა ხორციელდებოდა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივლისის №152/ნ ბრძანების შესაბამისად უნივერსიტეტში განხორციელდა რეორგანიზაცია - გაერთიანებულ იქნა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი. ამჟამად პროგრამა ხორციელდება ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე.
- სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამის ხანგრძლივობაა - 8 სემესტრი, მოიცავს 240 (ECTS) კრედიტს, მათ შორის: ¬ ზოგადი უცხოური ენა (ინგლისური, გერმანული, რუსული ან ფრანგული) - 18 კრედიტი ¬ დარგობრივი უცხოური ენა (ინგლისური, გერმანული, რუსული ან ფრანგული) - 3 კრედიტი ¬ სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები/კომპონენტები - 141 კრედიტი ¬ სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები/კომპონენტები - 18 ECTS კრედიტი ¬ თავისუფალი კომპონენტები - 60 ECTS კრედიტი, რომელიც სტუდენტს შეუძლია დაგეგმოს ინდივიდუალურად, თავისი შეხედულებისამებრ, უნივერსიტეტი სთავაზობს ორ შესაძლო ვარიანტს: 1. თავისუფალი კურსები - 60 კრედიტი: მოიცავს ზოგადი, ტრანსფერული უნარების განვითარების ხელშეწყობაზე ორიენტირებული ნებისმიერი საბაკალავრო პროგრამის (მათ შორის ძირითადი სფეროს არჩევითი კურსები) ფარგლებში არსებულ სასწავლო კურსს/საგანს/მოდულს, რომლის/რომელთა თავისუფლად არჩევაც შეუძლია სტუდენტს, მისთვის საინტერესო სფეროებში (საკითხებზე) თვალსაწიერის

გაფართოების მიზნით; 2. დამატებითი (Minor) პროგრამა - 48 ECTS კრედიტი (დამატებით (minor) პროგრამას სტუდენტი ირჩევს უნივერსიტეტის ნებისმიერი კურიკულუმიდან) და თავისუფალი კურსები 12 ECTS კრედიტი (სტუდენტს უნივერსიტეტის ნებისმიერი 9 კურიკულუმის ფარგლებში შეუძლია აირჩიოს ნებისმიერი სასწავლო კურსი წინაპირობების გათვალისწინებით).

- აღნიშნული სტრუქტურა, როგორც მასში შემავალი კომპონენტების, ისე კურსებისა და კრედიტების გადანაწილების თვალსაზრისით შეესაბამება და აკმაყოფილების მინისტრის ბრძანების (N69/ნ) მოთხოვნებს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**
  - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება განხორციელდა 2021 წლის 26 ნოემბერს. კოვიდ-19 პანდემიის პერიოდში, დაწესებული შეზღუდვებიდან გამომდინარე, შეფასება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება განხორციელდა დისტანციურად, კერძოდ, zoom პლატფორმის მეშვეობით.
  - წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის მიხედვით, ვიზიტი შედგა უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, დაწესებულების და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან, სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან და ხელმძღვანელთან, ასევე, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, სტუდენტთა მომსახურების პერსონალთან. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება მოხდა სოხუმის უნივერსიტეტის ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილის, ხოლო ელექტრონული ბიბლიოთეკის დათვალიერება - ბიბლიოთეკარის დახმარებით.
  - ვიზიტები წარიმართა ორგანიზებულად, შეფერხების გარეშე და მიმდინარეობდა მშვიდ, თანამშრომლობით გარემოში.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**
  - შესაფასებლად წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით. კერძოდ, 1.1, 1.2, 2.1, 2.2., 2.5, 2.6. 3.1, 4.1. 4.2, 4.3, 5.1, 5.2, 5.3 სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან; და 2.3, 2.4. და 4.4 მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან.

- **რეკომენდაციები**

  - **2.3. მიზანშწონილია** სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის სწავლის შედეგებთან. **მაგალითად,** „პროფესიული პრაქტიკა“ და „საბაკალავრო ნაშრომი“ გავლის შემდეგ სტუდენტი **განიმტკიცებს** სწავლის ყველა იმ შედეგს, რომელზეც არის ორიენტირებული პროგრამა. ამ ორი საგნის გარდა, პროგრამით გათვალისწინებული ბოლო შედეგის **განმტკიცებაზე** გასვლა, შესაძლებელია მხოლოდ სასწავლო კურსით

„განწყობის კლასიკური ფსიქოლოგია“, თუმცა საგნის სილაბუსში დეკლარირებულ სწავლის შედეგებში არ იკვეთება ზემოაღნიშნულ მიზანზე ორიენტაცია.

- მიზანშეწონილია დაზუსტეს ან გადაიწეროს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საფეხურის შესაბამისად ცალკეული სასწავლო კურსების სწავლის შედეგი. მაგალითად, ზოგიერთ სილაბუსის შედეგებში წერია: იყენებს ფსიქოთერაპიულ ტექნიკებს; ატარებს პრაქტიკულ სავარჯიშოებს; პრაქტიკული ტექნიკების გამოყენება საჭიროებს კომპეტენციებს, რაც მიგვაჩნია, რომ საბაკალავრო საფეხურისთვის არ არის რელევანტური.
- **2.4.** რეკომენდებულია პრაქტიკული კომპონენტის სრულყოფის მიზნით და პროფესიული პრაქტიკის სილაბუსის შესაბამის საფეხურთან მისადაგების მიზნით ფსიქოთერაპიული მიდგომები და ტექნიკები ჩანაცვლდეს მხოლოდ კვლევის კომპონენტით და შეფასების ინსტრუმენტებით.
- 4.4. რეკომენდებულია უნივერსიტეტმა იფიქროს ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის დაფინანსების მდგრადობაზე და მოიძიოს დაფინანსების ალტერნატიული საშუალებები. სასურველია 2021 წლის ბიუჯეტში დეტალურად იყოს განმარტებული დებულება „სხვა შემოწირულობების“ შესახებ.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - **2.2.** სასურველია გადაიხედოს სასწავლო კურსები და განისაზღვროს მათი თანმიმდევრობა ისე, რომ ადგილი არ ჰქონდეს თემების ურთიერთგადაფარვას, კერძოდ, სასწავლო კურსები: ფსიქოკონსულტირების საფუძვლები" და "ფსიქოთერაპიის საფუძვლები". "თანამედროვე ფსიქოლოგიის ძირითადი მიმდინარეობები" და "პიროვნების ფსიქოლოგიის საფუძვლები". ამ კურსებში მეორდება თემები, სასურველია გამეორების თავიდან აცილების მიზნით, პიროვნების ფსიქოლოგიის ფარგლებში თეორიულ მიმდინარეობებზე მეტად, ინდივიდუალურ განსხვავებებზე გაკეთდეს აქცენტი.

- სასურველია გადაიხედოს სასწავლო კურსები სწავლების საბაკალავრო საფეხურის შესაბამისად, მაგ., სასწავლო კურსები: გეშტალტთერაპია, ფსიქოსინთეზი, რომელიც მიგვაჩნია, რომ საჭიროებს უფრო ღრმა ცოდნას, ვინაიდან მოცემული სასწავლო კურსები გახლავთ დიპლომისშემდგომი საგანმანათლებლო პროგრამები.

- 2.4. სასურველია პროფესიული პრაქტიკის სილაბუსს დანართის სახით თან ერთვოდეს პრაქტიკის დღიური.
- სასურველია კონკრეტული საკვლევი ინსტრუმენტები, რომელსაც გამოიყენებენ სტუდენტები პრაქტიკის მიმდინარეობის დროს, გაწერილი იყოს პროფესიული პრაქტიკის სილაბუსში.

  - სასურველია არსებობდეს დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს პრაქტიკაზე სტუდენტთა განაწილებას, ითვალისწინებდეს კონკრეტულ პრაქტიკის ობიექტზე პრაქტიკის მიზანს, ხანგრძლივობას და სტუდენტების რაოდენობას.

- 2.5. სასურველია ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსში დეკლარირებული სწავლის შედეგების შესაბამისი მეთოდები იყოს მითითებული.
- 3.1. სასურველია, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ყველა საკითხი თავმოყრილი და ხელმისაწვდომი იყოს შესაბამის ზემოაღნიშნულ ელექტორნულ პლატფორმაზე და ამ მიზნით არ მოხდეს სოციალური ქსელების გამოყენება.
- სასურველია, ყველა შესაძლებელი გზით კრედიტების სემესტრული განაწილების შესახებ სტუდენტების ინფორმირებულობის გაზრდა, მაგ. სტუდენტის გზამკვლევის შექმნა, სემესტრის დასაწყისში საგნების არჩევის დროს მეტი კომსულტაციის ჩატარება.
- 4.1. სასურველია, რომ პრაქტიკულ სასწავლო კურსებს უძღვებოდეს დარგის პრაქტიკოსი სპეციალისტი, ვინაიდან სასწავლო კურსი გათვლილია პრაქტიკულ უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე, ან საგნის სილაბუსი ისე მოდიფიცირდეს რომ თეორიულ მიმოხილვაზე იყოს ორიენტირებული".
- 5.1. რეგულარულად მომზადდეს მიზნობრივი, თემატური ვორკშოპები საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილე აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და დამსაქმებელთათვის ხარისხის განვითარების თემებზე, უახლესი თემების გაზიარების მიზნით.
- 5.2. სასურველია განხორციელდეს ასევე საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ინტერნაციონალიზაციის ფარგლებში უცხოელ დარგის ექსპერტთა მიერ.
- 5.3. სასურველია თუ უნივერსიტეტის ხარისის უზრუნველყოფის სამსახური დაგროვილი გამოცდილებისა და გაზიარებული პრაქტიკის საფუძველზე შეიმუშავებდა რიგგარეშე მონიტორინგის მეთოდოლოგიას საგანმანათლებლო პროგრამებზე პერმანენტული დაკვირვებისა და მათი ეტაპობრივი განვითარების მიზნით.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

ხელმისაწვდომი ელექტორნული ბიბლიოთეკა, რომელშიც იძებნება სილაბუსებში მითითებული სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა;

სასწავლო კურსის დასახელება: „საინფორმაციო ტექნოლოგიები ფსიქოლოგიაში“, რომლის შინაარსიც მორგებულია დარგის სპეციფიკას.

ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა განხორციელების პროცესში სისტემატიურად ვითარდებოდა. ბოლო აკრედიტაციის შემდეგ პროგრამაში განხორციელდა რიგი ცვლილებები. საჭიროებიდან გამომდინარე, თეორიული მასალისა და თანამედროვე ინფორმაციის უფრო სრულყოფილი ათვისებისა და შეფასების ობიექტურობის გაზრდის მიზნით, ხდებოდა სწავლის შედეგებისა და შეფასების სისტემის მოდიფიცირება. კერძოდ,

დაზუსტდა თითოეული სასწავლო კურსის მოცულობა, ცლილებები განხორციელდა სასწავლო კურსებში. პროგრამის სავალდებულო კომპონენტს დაემატა ახალი სასწავლო კურსები: თანამედროვე ფსიქოლოგიის ძირითადი მიმდინარეობები, ალბათობა და სტატისტიკა, პროფესიული პრაქტიკა, ხოლო პროგრამის არჩევით კომპონენტს დაემატა ახალი სასწავლო კურსები, როგორიცაა: ფსიქოსინთეზი, ხელოვნების ფსიქოლოგია, განწყობის ანტროპული ფსიქოლოგია, ფილოსოფიის შესავალი, პრეკალკულუსი. არჩევითი კურსებიდან სავალდებულო კურსებში გადატანილ იქნა: კლინიკური ფსიქოლოგიის საფუძვლები, ფსიქოთერაპიის საფუძვლები და ორგანიზაციული ფსიქოლოგია. გაიზარდა ზოგიერთი სასწავლო კურსის მოცულობა, კერძოდ, „ფსიქოდიაგნოსტიკის საფუძვლების“ სავალდებულო სასწავლო კურსის მოცულობა 3 კრედიტიდან გაიზარდა 6 კრედიტამდე; ასევე შეიცვალა ზოგიერთი სასწავლო კურსების დასახელება.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიასა და მიზნებთან შესაბამისობაშია ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზნები. მიზნებში ნათლად არის ასახული ის ცოდნა, უნარები და კომპეტენციები, რომლის განვითარებაზეც არის პროგრამა ორიენტირებული. მიზნები რეალისტურია და მიღწევადი, ორიენტირებულია ფსიქოლოგიის სფეროში მოღვაწე, სამუშაო ბაზრისა და სამოქალაქო საზოგადოების მოთხოვნების შესაბამისი განათლების მქონე, კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადებაზე. პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება ფსიქოლოგიის სფეროში წარმატებული საქმიანობისათვის აუცილებელი ცოდნა და უნარები. პროგრამის მიზნები საჯაროა და ხელმისაწვდომი. მიზნების თანახმად, სტუდენტი მიიღებს ფსიქოლოგიის სხვადასხვა მიმართულებებისა და ფსიქოლოგიური კვლევის შესახებ ფართო ცოდნას, მიღებული ცოდნის პროფესიულ თუ კვლევით საქმიანობაში გამოყენებისთვის

საჭირო უნარებს, გამოიმუშავებს ფსიქოლოგიური პრობლემების ანალიზისა და გადაჭრისთვის საჭირო კომპეტენციებს და უწყვეტი პროფესიული ზრდა-განვითარების უნარს. ამდენად, პროგრამის დეკლარირებული მიზნებიდან ცხადი ხდება, რომ სტუდენტებს საშუალება აქვთ გაეცნონ ფსიქოლოგიის ფარგლებში არსებულ ძირითად მიმართულებებს, მიიღონ სფეროს შესახებ საბაზისო თეორიული ცოდნა და გამოიმუშაონ შესაბამისი პრაქტიკული და კვლევითი უნარ-ჩვევები. პროფესიული საქმიანობისას დაიცვან ეთიკის ნორმები. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან და ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ საბაკალავრო პროგრამის მიზნების შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია ყველა დაინტერესებული მხარის მოსაზრება. ამ პროცესში სხვადასხვა სახით იყო ჩართული როგორც დამსაქმებლები, ისე აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები და კურსდამთავრებულები. რაც მიგვანიშნებს, რომ პროგრამის მიზნებში გათვალისწინებული და ასახულია შრომის ბაზრის მოთხოვნები და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციები და ეხმიანება სფეროს განვითარების მოთხოვნებს. ამდენად, საბაკალავრო პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ და ფოკუსირებულია მაღალკვალიფიციური, პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული კურსდამთავრებულის მიღებაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა • სსუ-ს ვებ-გვერდი • თვითშეფასების ანგარიში • დოკუმენტი - დასაქმების ბაზრის კვლევა • დოკუმენტი - შრომის ბაზრის მოთხოვნები • თვითშეფასების ოქმები (1, 2, 3) • უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუები
რეკომენდაციები: o წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

შესაბამისობა

X **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, პრაქტიკულ უნარ-ჩვევებსა და პასუხისმგებლობას, რასაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას. შედეგებიდან ჩანს, რომ ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ, სტუდენტი შეძლებს ახსნას და კრიტიკულად გაიაზროს ფსიქოლოგიის ფარგლებში არსებული ძირითადი თეორიები, ახსნას ფსიქიკური პროცესები და გააანალიზოს ქცევა. კურსდამთავრებული შეძლებს ფსიქოლოგიური პრობლემის იდენტიფიცირებას, დიფერენცირებასა და შეფასებას; შესაბამისი დახმარების პირობებში, დაგეგმავს თვისებრივ/რაოდენობრივ კვლევას, კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით დაამუშავებს შედეგებს და გააცნობს მათ სამიზნე აუდიტორიას. პროგრამის კურსდამთავრებაული პროფესიული ზრდა-განვითარების საჭიროებას ცნობს და ეთიკის პრინციპების დაცვით გეგმავს განვითარებაზე ორიენტირებულ საქმიანობას.

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტებიდან და დამსაქმებლებთან ჩატარებული ინტერვიუებიდან ირკვევა, პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში ჩართულია პროგრამით დაინტერესებული ყველა პირი, გათვალისწინებულია შრომის ბაზრის მოთხოვნები. მაგ. შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების თანახმად, სფეროს შესაბამისი და ფართო ცოდნის მქონე კურსდამთავრებულის მიღებასთან ერთად, მნიშვნელოვანია კომპიუტერთან მუშაობისა და ბაზისური და სპეციფიკური საოფისე პროგრამების სფეროს შესაბამისად გამოყენებისთვის საჭირო უნარების ფლობა. ამ უნარების განვითარებას კი, პროგრამა ისეთი სასწავლო კურსების ფარგლებში ახერხებს, როგორიც არის მაგ. „საინფორმაციო ტექნოლოგიები ფსიქოლოგიაში“ ან „კვლევის მონაცემთა ანალიზი (SPSS-ის

გამოყენებით)“.

სწავლის შედეგების შეფასებისთვის დადგენილია სამიზნე ნიშნულები. ამ ნიშნულებთან შედეგების შესაბამისობის შეფასება ხდება ყოველი სასწავლო წლის დასასრულს. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება იგეგმება, როგორც პირდაპირი (მაგ. ცალკეულ სასწავლო კურსებში მიღებული ქულები), ისე არაპირდაპირი მეთოდების (მაგ. სტუდენტების თვითშეფასება, დამსაქმებელთა მხრიდან სტუდენტის შეფასება) გამოყენებით. ამრიგად, სწავლის შედეგების შეფასების სისტემა და პერიოდულობა ითვალისწინებს სფეროს სპეციფიკას, მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს, რომლებიც სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დადგენის საშუალებას იძლევა.
შემუშავებული სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს კურსდამთავრებულთა რაოდენობრივ და თვისებრივ (აკადემიური მოსწრების) ანალიზს, დასაქმებისა და სწავლის გაგრძელების შესახებ მონაცემთა ანალიზს. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზიდან ჩანს, რომ პროგრამა მიზნებს ამართლებს. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან და ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ იგეგმება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდთა გამრავალფეროვნება და შედეგების გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. პროგრამაში ჩართული პერსონალი უზრუნველყოფს დაინტერესებული პირებისთვის სწავლის შედეგების გაცნობას.

შეიძლება ითქვას, რომ ფსიქოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტურია. შესაბამისობაშია პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების/ბაზრის მოთხოვნებთან და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი
- ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში
- თვითშეფასების ანგარიში
- დოკუმენტი - დასაქმების ბაზრის კვლევა
- დოკუმენტი - შრომის ბაზრის მოთხოვნები
- თვითშეფასების ოქმები (1, 2, 3)
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია, ცალკეული სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის სწავლის შედეგებთან.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობები გამჭვირვალეა და ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და სსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით. პროგრამაზე საქართველოს მოქალაქე ირიცხება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებისა და სსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის საფუძველზე. უცხო ქვეყნის მოქალაქეების ან მოქალაქეობის არმქონე პირების ჩარიცხვა რეგულირდება უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტის სტატუსის მოპოვება შესაძლებელია მობილობის გზით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას. ინფორმაცია საჯაროა და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • საბაკალავრო პროგრამა • საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ • სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი • სსუ-ს ვებ-გვერდი
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ

პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) o
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამა შემუშავებულია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების წესისა და პროცედურების დაცვით და შეესაბამება უნივერსიტეტის სტანდარტს, საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემას. ინტერვიურებიდან ირკვევა, რომ პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყო

პროგრამის ხელმძღვანელი და ადმინისტრაცია, ასევე უნდა აღინიშნოს კურსდამთავრებულების ჩართულობა, რასაც ადასტურებს პროგრამაზე მუშაობის დროს მათ მიერ გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინება, კერძოდ, პროფესიული პრაქტიკის დამატება.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის, რომ პროგრამაში სავალდებულო სასწავლო კურსებში 15 კრედიტი ეთმობა კვლევით კომპონენტს, კერძოდ, კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში(3 კრედიტი), კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში (6 კრედიტი), კვლევის მონაცემთა ანალიზი (SPSS-ის გამოყენებით) 6 კრედიტი. რომელიც ორიენტირებულია შემდეგი კომპეტენციების განვითარებაზე: წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად კვლევის დაგეგმვა, რაოდენობრივი მონაცემების შეგროვება და დამუშავება; ინტერვიურების, თვითშეფასების ანგარიშისა და თანდართული სილაბუსების განხილვის შედეგად დასტურდება, რომ პროგრამის შინაარსი აგებულია ფსიქოლოგიის თანამედროვე მიღწევების გათვალისწინებით. გამოყენებული სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა ძირითადად არის ქართულენოვანი და მეტნაკლებად ასახავს უახლეს განვითარებას.

პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლის საფეხურს, ასევე, შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს. ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 4 წელს, 8 სემესტრს. 240 კრედიტიანი პროგრამა აგებულია შემდეგი კომპონენტებით: ზოგადი უცხოური ენა (ინგლისური, გერმანული, რუსული ან ფრანგული) - 18 კრედიტი ¬ დარგობრივი უცხოური ენა (ინგლისური, გერმანული, რუსული ან ფრანგული) - 3 კრედიტი ¬ სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები/კომპონენტები - 141 კრედიტი ¬ სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები/კომპონენტები - 18 ECTS კრედიტი ¬ თავისუფალი კომპონენტები - 60 ECTS კრედიტი.

უნდა აღინიშნოს, პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა ძირითადად უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას და ასევე, მისანიჭებელი კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამის შინაარსს და სწავლის შედეგებს. თუმცა, ზოგიერთ კურსებში შესაძლოა ადგილი ჰქონდეს შინაარსობრივ ურთიერთგადაფარვას მაგალითად, კურსებში "ფსიქოკონსულტირების საფუძვლები" და "ფსიქოთერაპიის საფუძვლები". ფსიქოკონსულტირება და ფსიქოთერაპია ნამდვილად სხვადასხვა საგანია, მაგრამ ეს განსხვავება ისეთი არ გახლავთ, რომ საჭირო იყოს ორი დამოუკიდებელი სასწავლო კურსის სწავლება. იგივე შეიძლება ითქვას სასწავლო კურსების შესახებ, როგორიცაა: "თანამედროვე ფსიქოლოგიის ძირითადი მიმდინარეობები" და "პიროვნების ფსიქოლოგიის საფუძვლები". ამ კურსებში მეორდება ისეთი თემები, როგორიცაა სიღრმის ფსიქოლოგია ფროიდის, იუნგის, ადლერის პერსპექტივიდან, უოტსონის და სკინერის ბიჰევიორიზმი. სასურველია გამეორების თავიდან აცილების მიზნით, პიროვნების ფსიქოლოგიის ფარგლებში თეორიულ მიმდინარეობებზე მეტად, ინდივიდუალურ განსხვავებებზე გაკეთდეს აქცენტი. ნიმუშის სახით შეგიძლიათ იხელმძღვანელოთ - Chamorro-Premuzic, T. (2016). *Personality and individual differences წიგნით.* John Wiley & Sons, სახელმძღვანელო 2016 წლის რედაქციაა და სფეროში ჩატარებულ ბოლოდროინდელ კვლევებს ასახავს, ასევე სარჩევის ერთი თვალის შევლებაც კი დაგეხმარებათ კურსის დაგეგმვაში. ამასთანავე, შესაძლოა

წიგნი გამოგადგეთ სახელმძღვანელოდ.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პროგრამის ძირითად სასწავლო კურსებში ბაზისური და ზოგადი სასწავლო კურსების გარდა, რომელიც შეესაბამება სწავლების საბაკალავრო საფეხურს, ვხვდებით ისეთ სპეციფიურ სასწავლო კურსებს, რომლებიც ფოკუსირებულია ფსიქოლოგიის კონკრეტულ სფეროზე, კერძოდ, ფსიქოთერაპიაზე; მაგ., ვხვდებით ისეთ სასწავლო კურსებს, როგორიცაა: გეშტალტთერაპია, ფსიქოსინთეზი, რომელიც მიგვაჩნია, რომ საჭიროებს უფრო ღრმა ცოდნას, ვინაიდან მოცემული სასწავლო კურსები გახლავთ დიპლომისშემდგომი საგანმანათლებლო პროგრამები. ამასთანავე, უნდა აღნიშნოს ის, რომ ხშირ შემთხვევაში დიპლომისშემდგომი კვალიფიკაციის ამაღლების კურსების წინაპირობა გახლავთ მაგისტრის ხარისხი. აკრედიტაციის ვიზიტის დროს პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუმ აჩვენა, რომ წარმოდგენილი შინაარსი ეფუძნება დამსაქმებლების გამოკითხვებისა და ბაზრის ანალიზს, საიდანაც ჩანს რომ მოთხოვნა დიდია პრაქტიკული ფსიქოლოგიის მიმართულებით უნარების მქონე სპეციალისტებზე. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ვფიქრობთ, რომ საბაკალავრო საფეხურზე სტუდენტს უნდა მიეწოდოს ზოგადი სახის ინფორმაცია, რაც წარმოდგენილია პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსში: „ფსიქოთერაპიის საფუძვლები“. სილაბუსში განხილულია სხვადასხვა ფსიქოთერაპიული სკოლები, ხოლო იმისათვის რომ სტუდენტს შეექმნას წარმოდგენა თუ რომელი მიმართულებით გაიღრმავოს ცოდნა მომავალში ფსიქოთერაპიის საფუძვლების სასწავლო კურსი სრულიად აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას. ხოლო პრაქტიკული ფსიქოლოგიის მიმართულებით უნარების მქონე სპეციალისტი უნარზე ვერ გაიყვანს ფსიქოთერაპიის რამდენიმე სასწავლო კურსის სწავლება, რადგან თითოეული მიმართულებით პრაქტიკული უნარების შეძენა საჭიროებს მრავალწლიან სასწავლო განათლებას თეორიული და პრაქტიკული კუთხით, სუპერვიზიის ფარგლებში.

პროგრამის ძირითადი კომპონენტებია: კურსების ერთობლიობა, პრაქტიკა და საბაკალავრო ნაშრომი. პროგრამა შედგება 2 სახის კურსებისგან: თეორიულ-პრაქტიკული და კვლევითი; სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან, აკადემიურ პერსონალთან უკუკავშირის შედეგად, განახლების პროცესში, პროგრამას დაემატა ახალი კურსები, რომელიც გახლავთ პრაქტიკული კურსები. არჩევითი კურსების მრავალფეროვნება სტუდენტებს აძლევს საშუალებას აირჩიონ კურსები თავისი ინტერესების შესაბამისად. პროგრამაში შემავალი კომპონენტები თანმიმდევრულად და ლოგიკურად არის დალაგებული და ადეკვატურია კურსზე დაშვების წინაპირობები.

პროგრამა სტუდენტს შესაძლებლობას აძლევს - ინდივიდუალურად თავისი შეხედულებისამებრ დაგეგმოს 60 ECTS კრედიტის არჩევა, ამისათვის უნივერსიტეტი სთავაზობს ორ შესაძლო ვარიანტს: 1.თავისუფალი კურსები - 60 კრედიტი: მოიცავს ზოგადი, ტრანსფერული უნარების განვითარების ხელშეწყობაზე ორიენტირებული ნებისმიერი საბაკალავრო პროგრამის (მათ შორის ძირითადი სფეროს არჩევითი კურსები) ფარგლებში არსებულ სასწავლო კურსს/საგანს/მოდულს, რომლის/რომელთა თავისუფლად არჩევაც შეუძლია სტუდენტს, მისთვის საინტერესო სფეროებში (საკითხებზე) თვალსაწიერის გაფართოების მიზნით; 2.დამატებითი (Minor) პროგრამა - 48 ECTS კრედიტი (დამატებით (minor) პროგრამას სტუდენტი ირჩევს უნივერსიტეტის ნებისმიერი კურიკულუმიდან) და თავისუფალი კურსები 12 ECTS კრედიტი (სტუდენტს უნივერსიტეტის ნებისმიერი კურიკულუმის

ფარგლებში შეუძლია აირჩიოს ნებისმიერი სასწავლო კურსი წინაპირობების გათვალისწინებით).

ასევე, ძლიერ მხარედ შესაძლოა ჩაითვალოს პროფესიული პრაქტიკა, რომელიც ახლა დაემატა და რასაც განსაკუთრებულ მიღწევად მიიჩნევენ კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები ინტერვიუს დროს.

თვითშეფასების ანგარიშისა და თანდართული სილაბუსების განხილვის შედეგად დასტურდება, რომ პროგრამის შინაარსი აგებულია ფსიქოლოგიის უახლესი მიღწევებისა და კვლევითი ტენდენციების გათვალისწინებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამის აღწერილობა
- პროგრამის სილაბუსები
- საბაკალავრო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ (დადგენილება №05/01-384, 22.02.2018);
- დარგობრივი კომიტეტის სხდომის ოქმები
- პროგრამის სწავლის მიზნებისა და შედეგების რუკა, კურიკულუმის რუკა, სწავლის შედეგების შეფასების რუკა;
- სსუ-ს ვებგვერდი;
- პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია გადაიხედოს სასწავლო კურსები და განისაზღვროს მათი თანმიმდევრობა ისე, რომ ადგილი არ ჰქონდეს თემების ურთიერთგადაფარვას, კერძოდ, სასწავლო კურსები: ფსიქოკონსულტირების საფუძვლები" და "ფსიქოთერაპიის საფუძვლები". "თანამედროვე ფსიქოლოგიის ძირითადი მიმდინარეობები" და "პიროვნების ფსიქოლოგიის საფუძვლები". ამ კურსებში მეორდება თემები, სასურველია გამეორების თავიდან აცილების მიზნით, პიროვნების ფსიქოლოგიის ფარგლებში თეორიულ მიმდინარეობებზე მეტად, ინდივიდუალურ განსხვავებებზე გაკეთდეს აქცენტი.
- სასურველია გადაიხედოს სასწავლო კურსები სწავლების საბაკალავრო საფეხურის შესაბამისად, მაგ., სასწავლო კურსები: გეშტალტთერაპია, ფსიქოსინთეზი, რომელიც მიგვაჩნია, რომ საჭიროებს უფრო ღრმა ცოდნას, ვინაიდან მოცემული სასწავლო კურსები გახლავთ დიპლომისშემდგომი საგანმანათლებლო პროგრამები.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) o
X **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული ყოველი სასწავლო კურსის სწავლის შედეგები, მეტ-ნკლებად, შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებსა და უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს. კურსის სწავლის შედეგების პროგრამის სწავლის შედეგებთან და შესაბამის საფეხურთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად უსდ-ს მიერ წარმოდგენილია სწავლის შედეგების რუკა, რომელიც აღწერს, პროგრამის რომელ სწავლის შედეგ(ებ)ზე გადის ესა თუ ის მოდული და თითოეულ მოდულში შემავალი ცალკეული კურსი. საგანმანათლებლო პროგრამის უპირატესობაა შეთავაზებული კურსების მრავალფეროვნება. სასწავლო კურსის სწავლის შედეგების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის სასწავლო კურსის შედეგები ფორმულირებულია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისი დონის აღმწერების საფუძველზე და შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. ასევე, წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგების რუკაზე დაყრდნობით, შესაძლებელი ხდება პროგრამის შედეგებზე ორიენტირებულია ცალკეული სასწავლო კურსების შეფასება. ჩანს რომ საგნების, „პროფესიული პრაქტიკა“ და „საბაკალავრო ნაშრომი“ გავლისას სტუდენტი **განიმტკიცებს** სწავლის ყველა იმ შედეგს, რომელზეც არის ორიენტირებული პროგრამა. თუმცა, საინტერესოა, რომ ამ ორი საგნის გარდა,

პროგრამით გათვალისწინებული ბოლო შედეგის **განმტკიცებაზე** („ცნობს უწყვეტი პროფესიული ზრდისა და სწავლის შემდგომი გაგრძელების საჭიროებას“) მხოლოდ საგანი „განწყობის კლასიკური ფსიქოლოგია“ გადის. ამ საგნის სილაბუსში დეკლარირებულ სწავლის შედეგებში კი ცალსახად არ იკვეთება ამ მიზანზე ორიენტაცია. ამდენად, მიზანშეწონილია სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის სწავლის შედეგებთან. ამასთანავე, სასურველია, რომ პრაქტიკულ სასწავლო კურსებს უძღვებოდეს დარგის პრაქტიკოსი სპეციალისტი, რაც მნიშვნელოვანია, პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული უნარ-ჩვევების განსავითარებლად. სასწავლო კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა (როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შესაბამისობაშია კურსის სირთულესთან და სწავლის შედეგებთან. იმისათვის რომ დადგინდეს, რამდენად ეფექტიანია საათების არსებული განაწილება, ყოველი სემესტრის შემდეგ ტარდება სტუდენტების გამოკითხვა. კითხვარში სხვა კითხვებთან ერთად არის კითხვა, რომელიც ეხება დატვირთვის ადეკვატურობას. კურსის სილაბუსებში მითითებულია სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო თანამედროვე, სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა, რიდერები და მათი ელექტრონული ვერსია განთავსებულია ბიბლიოთეკის პორტალზე. რასაც ადასტურებს, ის ფაქტი, რომ საბიბლიოთეკო ფონდის დათვალიერებისას შემთხვევით შერჩეული 3 სახელმძღვანელოდან ბიბლიოთეკაში მოხერხდა თითოეული სახელმძღვანელოს მოძებნა. ზოგიერთი კურსის სილაბუსში არის მცირე უზუსტობები. მაგალითად, კურსის, ფსიქოანალიზის შესავალი სწავლის შედეგებში გაწერილია რომ ღრმად წვდება პიროვნების სულიერ სამყაროს მისი დიაგნოსტირებისა და საჭიროების შემთხვევაში, დაძლევის გზების ათვისების მიზნით; ასე ფორმულირებული შედეგი ცდება საბაკალავრო საფეხურის სტანდარტს. სასწავლო კურსის ფსიქოსინთეზის სილაბუსში სწავლის შედეგში მითითებულია სუპერვიზიით იყენებს ფსიქოსინთეზის ტექნიკებს; ატარებს პრაქტიკულ სავარჯიშოებს; პრაქტიკული ტექნიკების გამოყენება საჭიროებს კომპეტენციებს, რაც მიგვაჩნია, რომ საბაკალავრო საფეხურისთვის არ არის რელევანტური. მიზანშეწონილია დაზუსტეს ან გადაიწეროს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საფეხურის შესაბამისად ცალკეული სასწავლო კურსების სწავლის შედეგი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა; • პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები; • პროგრამის სწავლის მიზნებისა და შედეგების რუკა, კურიკულუმის რუკა, სწავლის შედეგების შეფასების რუკა; • ბიბლიოთეკის ონლაინ დათვალიერება და ბიბლიოთეკართან გასაუბრება; • უნივერსიტეტის ვებგვერდი; • სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი • პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან,

სტუდენტებთან, კურსადმთავრებულებთან ინტერვიუ.
რეკომენდაციები: • **მიზანშწონილია** სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის სწავლის შედეგებთან. **მაგალითად,** „პროფესიული პრაქტიკა“ და „საბაკალავრო ნაშრომი“ გავლის შემდეგ სტუდენტი **განიმტკიცებს** სწავლის ყველა იმ შედეგს, რომელზეც არის ორიენტირებული პროგრამა. ამ ორი საგნის გარდა, პროგრამით გათვალისწინებული ბოლო შედეგის **განმტკიცებაზე** გასვლა, შესაძლებელია მხოლოდ სასწავლო კურსით „განწყობის კლასიკური ფსიქოლოგია“, თუმცა საგნის სილაბუსში დეკლარირებულ სწავლის შედეგებში არ იკვეთება ზემოაღნიშნულ მიზანზე ორიენტაცია. • მიზანშეწონილია დაზუსტეს ან გადაიწეროს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საფეხურის შესაბამისად ცალკეული სასწავლო კურსების სწავლის შედეგი. მაგალითად, ზოგიერთ სილაბუსის შედეგებში წერია იყენებს ფსიქოთერაპიულ ტექნიკებს; ატარებს პრაქტიკულ სავარჯიშოებს; პრაქტიკული ტექნიკების გამოყენება საჭიროებს კომპეტენციებს, რაც მიგვაჩნია, რომ საბაკალავრო საფეხურისთვის არ არის რელევანტური.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪ სასურველია, რომ პრაქტიკულ სასწავლო კურსებს უძღვებოდეს დარგის პრაქტიკოსი სპეციალისტი, რაც მნიშვნელოვანია, პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული უნარ-ჩვევების განსავითარებლად.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ხელმისაწვდომი ელექტორნული ბიბლიოთეკა, რომელშიც იძებნება სილაბუსებში მითითებული სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა;
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) o
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
o პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამა, სწავლის შედეგების გათვალისწინებით, უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებას, რაც თავის მხრივ, წარმატებული პროფესიული საქმიანობის წინაპირობაა. კვლევითი კომპონენტის მიზანია სტუდენტებს განუვითაროს რაოდენობრივი მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის უნარი თანამედროვე პროგრამის (SPSS) და მოთხოვნის შესაბამისად. საბაკალავრო პროგრამის აუცილებელი კომპონენტია საბაკალავრო ნაშრომის შესრულება, რომელიც წარმოადგენს უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის ფარგლებში მიღებული დარგობრივი ცოდნისა და ზოგადი უნარების, სხვადასხვა სფეროში პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობების დოკუმენტირებას. ნაშრომზე მუშაობა სტუდენტს უვითარებს დამოუკიდებელი საპროექტო/კვლევითი სამუშაოს წარმართვის საწყის უნარებს და ამზადებს წინაპირობებს, რათა სტუდენტმა უფრო მარტივად შეძლოს აკადემიური განათლების მე-2 საფეხურზე (მაგისტრატურა) სწავლა. პროგრამა ერთი მხრივ, ხელს უწყობს სტუდენტის კვლევითი უნარების განვითარებას ისეთი კურსების ფარგლებში, როგორებიცაა კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში, ფსიქოკონსულტირების საფუძვლები, კვლევის მონაცემთა ანალიზი (SPSS-ის გამოყენებით) და საბაკალავრო ნაშრომი (6 კრედიტი). როგორც წესი, კონკრეტული კვლევის ფარგლებში თითოეულ სტუდენტს უწევს შესაბამისი კვლევის დაგეგმვა, მონაცემთა შეგროვება, დამუშავება, ანალიზი და ინტერპრეტაცია და კვლევითი ანგარიშის დაწერა შესაბამისი კურსების სწავლების სემესტრსა და სწავლების მერვე სემესტრში; ყველა ამ კვლევით კომპონენტში სტუდენტებს ხელმძღვანელობას უწევენ ფსიქოლოგიის დარგში წამყვანი სპეციალისტები, რომლებიც პროგრამასა და თითოეული კურსის სილაბუსში განსაზღვრული წესით აფასებენ სტუდენტების კვლევითი საქმიანობას.

თითოეული სტუდენტი თავის ხელმძღვანელს, საბაკალავრო ნაშრომის მომზადების პროცესში, ხვდება რეგულარულად, რათა სტუდენტს ჰქონდეს კვლევის დინამიკაზე ანგარიშგების შესაძლებლობა, ხოლო პედაგოგს – სათანადო კონსულტირების საშუალება. თუმცა როგორც ინტერვიუებიდან გაირკვა, სტუდენტი ხელმძღვანელისა და სტატისტიკოსის დამატებითი დახმარებით ახერხებს მიღებული შედეგების დამუშავებას და შესაბამისად, საბაკალავრო ნაშრომის სრულყოფას.

კურსდამთავრებულებისა და სტუდენტების უკუკავშირის გათვალისწინებით, პროგრამის სავალდებულო კომპონენტებს დაემატა პრაქტიკის კომპონენტი (6 ECTS), რომელიც პროგრამაში არ შედიოდა. პრაქტიკის მიზანია, მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის ინტეგრირება და პრაქტიკული გამოცდილების მიღება რეალურ სამუშაო გარემოში. პრაქტიკა განხორციელდება მეოთხე სემესტრში, სამაგისტრო კვლევის განხორციელების პარალელურად. პრაქტიკის გავლა შესაძლებელი იქნება პარტნიორ ორგანიზაციაში. პრაქტიკის თემატიკა წინასწარ იქნება შეთანხმებული პროგრამის ხელმძღვანელთან. პრაქტიკის კურსის სილაბუსში არის აღწერილი პრაქტიკის გეგმა, რაც გულისხმობს პრაქტიკის ადგილზე თითოეული ვიზიტის დროს განსახორციელებელი აქტივობების მიზანს, შინაარსს, საშინაო დავალების ინსტრუქციას. მოცემულია პრაქტიკაზე სტუდენტის შეფასების მექანიზმები - პრაქტიკის ობიექტზე დასწრება (30 ქულა), შუალედური შეფასება (30 ქულა), სასურველი იქნებოდა პრაქტიკის დღიური დანართის სახით ყოფილიყო წარმოდგენილი, პრაქტიკის დაცვა და პრეზენტაცია (40 ქულა). წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მართალია არის პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მემორანდუმი / ხელშეკრულება. მაგრამ ის არ ითვალისწინებს პრაქტიკის ხანგრძლივობას და სტუდენტების რაოდენობას.

პრაქტიკის კომპონენტი პროგრამაში გათვალისწინებულია შემავალი ფართო სპექტრის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების სახით, რომლებიც შეთავაზებულია ძირითადად, ფსიქოთერაპიის სასწავლო საგნების ფარგლებში. მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტებს აქვთ კვლევის დაგეგმვის და მიღებული მონაცემების დამუშავების უნარები, პროფესიული პრაქტიკის დროს მათ დასჭირდებათ ფსიქოლოგიის კვლევის ინსტრუმენტების გამოყენება. პროფესიული პრაქტიკის სილაბუსში წერია, მაგალითად XI კვირის თემატიკაში, რომ სტუდენტები გაივლიან: „ფსიქოთერაპიული ტექნიკები და პრაქტიკული სავარჯიშოები. ბავშვებთან მუშაობის მეთოდები.“მართალია, ზოგიერთ არჩევით სასწავლო კურსებში იკვეთება ფსიქოთერაპიული ტექნიკების სწავლება, თუმცა, რა ინსტრუმენტებით და ტექნიკებით მოხდება ბავშვებთან მუშაობა არ ჩანს. ამასთანავე ფსიქოთერაპიული ტექნიკების გამოყენება ამ საფეხურისთვის მიგვაჩნია არარელევანტურად. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ, ინტერვიურების დროს ერთ-ერთი ორგანიზაციის წარმომადგენელი საუბრობს ფსიქოლოგიური პორტრეტების შედგენის შესახებ. ბუნდოვანია, რა კონკრეტული მეთოდებით მოახერხებს პრაქტიკანტი ზემოაღნიშნული დავალების შესრულებას. რეკომენდებულია, ფსიქოთერაპიული ტექნიკებს არ გამოიყენებდეს სწავლების ამ საფეხურზე. რომელსაც გამოიყენებს სტუდენტი. თუ კონკრეტული საკვლევი ინსტრუმენტების სწავლება მოხდება პრაქტიკის მიმდინარეობის დროს,

სასურველია, ეს ჩანდეს პროფესიული პრაქტიკის სილაბუსში.

გარდა ამისა, მეცნიერული კვლევის უნარით განსაკუთრებულად გამორჩეული სტუდენტები ჩართულნი არიან საგრანტო პროექტებშიც, უნივერსიტეტი სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღონ სოხუმის უნივერსიტეტის მიზნობრივ სამეცნიერო-კვლევით პროექტებში.

საბაკალავრო ნაშრომს სტუდენტი ასრულებს ბოლო სემესტრში ხელმძღვანელის სუპერვიზორობით. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობას ახორციელებენ კვალიფიციური პირები, რაც დასტურდება მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით.
თემის შერჩევისას ხდება სტუდენტის კვლევითი ინტერესების, პროგრამის კვლევითი მიმართულებებისა და პოტენციური ხელმძღვანელის კვლევითი გამოცდილების გათვალისწინება. საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობისას უზრუნველყოფილია რეგულარული კონსულტაცია ხელმძღვანელთან; საბაკალავრო ნაშრომის შეფასება ხდება ერთჯერადად, საბაკალავრო ნაშრომის დაცვის კომისიის მიერ.
უნივერსიტეტში შექმნილია სტუდენტთა პრაქტიკისა და კარიერის მართვის სამსახური, რომელიც სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას ვაკანსიების შესახებ, როგორც პარტიორ ორგანიზაციებში, ისე ბაზარზე არსებულ სხვა ორგანიზაციებში, ასევე დახმარებას უწევს წარსადგენი დოკუმენტაციების სწორად მომზადებაში, სამსახური ამყარებს მჭიდრო ურთიერთობას კურსდამთავრებულებთან და უზრუნველყოფს უნივერსიტეტსა და მათ შორის ეფექტურ თანამშრომლობას, ასევე ახორციელებს კურსდამთავრებულთა დასაქმების მონაცემთა ბაზის შექმნას და მონიტორინგს. უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები, რომელთა ფარგლებშიც ორგანიზაციები მზად არიან მიიღონ სტუდენტები და კურსდამთავრებულები სტაჟირებაზე, ჩაუტარონ საცნობარო შეხვედრები და თემატური სემინარები მათთვის საინტერესო საკითხებზე. ფაკულტეტზე ყოველწლიურად ეწყობა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები, სადაც 24 აქტიურად არიან ჩართული ფაკულტეტის სტუდენტები. სტუდენტური ცხოვრების გამრავალფეროვნების, აგრეთვე დასვენებისა და კულტურული და სპორტული ღონისძიებების სერვისების ორგანიზებისთვის ფაკულტეტზე ფუნქციონირებს სტუდენტური თვითმმართველობა, რომლის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, სსუ წესდებითა და სსუ სტუდენტური თვითმმართველობის დებულებით.

რეკომენდაციები:

▪ რეკომენდებულია პრაქტიკული კომპონენტის სრულყოფის მიზნით და პროფესიული პრაქტიკის სილაბუსის შესაბამის საფეხურთან მისადაგების მიზნით ფსიქოთერაპიული მიდგომები და ტექნიკები ჩანაცვლდეს მხოლოდ კვლევის კომპონენტით და შეფასების ინსტრუმენტებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია პროფესიული პრაქტიკის სილაბუსს დანართის სახით თან ერთვოდეს პრაქტიკის დღიური.

- სასურველია კონკრეტული საკვლევი ინსტრუმენტები, რომელსაც გამოიყენებენ სტუდენტები პრაქტიკის მიმდინარეობის დროს, გაწერილი იყოს პროფესიული პრაქტიკის სილაბუსში.
- სასურველია არსებობდეს დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს პრაქტიკაზე სტუდენტთა განაწილებას, ითვალისწინებს კონკრეტულ პრაქტიკის ობიექტზე პრაქტიკის მიზანს, ხანგრძლივობას და სტუდენტების რაოდენობას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

o

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლება ხორციელდება ლექციების, სემინარების და პრაქტიკული მუშაობის ფორმატში ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის მეთოდების გამოყენებით. ეს მეთოდებია: **ვერბალური**, ანუ

ზეპირსიტყვიერი; **წიგნზე მუშაობა; წერითი მუშაობა; პრაქტიკული; დისკუსია/დებატები; ჯგუფური** (collaborative) **მუშაობა; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)**; **შემთხვევის ანალიზი** (Case study); **გონებრივი იერიში** (Brain storming); **დემონსტრირება; ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, სინთეზი; ახსნა-განმარტება; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება; როლური თამაშები/ სიმულაციის მეთოდი; ლაბორატორიული მეთოდი; ევრისტიკული მეთოდი; პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია;**

სწავლება-სწავლის მეთოდები ინდივიდუალურადაა შერჩეული თითოეული სასწავლო კურსისთვის. მაგალითად, კურსი ნეიროფსიქოლოგია, კოგნიტური ფსიქოლოგია - ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი; ახსნა-განმარტებითი მეთოდი; დემონსტრირების მეთოდი; წიგნზე მუშაობის მეთოდი; დისკუსია-დებატების მეთოდი; შემთხვევების ანალიზის მეთოდი. ხოლო კურსი - ფსიქოკონსულტირების საფუძვლები სხვა ტრადიციულ მეთოდებთან ერთად, იყენებს პრაქტიკულ მეთოდებს, ისეთი როგორიცაა ***პრაქტიკული მეცადინეობა,*** რომელიც ხორციელდება პრაქტიკული სავარჯიშოების შესრულებით, რომლის მიზანია სალექციო თემის ფარგლებში შესაბამისი უნარ-ჩვევის შემუშავება და განმტკიცება, რაც დასტურდება **სასწავლო კურსების სწავლის შედეგების და პროგრამის სწავლის შედეგების რუკის** საფუძველზე. ***კონსულტაცია, პრეზენტაცია*** პრეზენტაცია შეიძლება იყოს ინდივიდუალური ან ჯგუფური.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პროგრამის სილაბუსების შესწავლამ აჩვენა, რომ სასწავლო კურსის შინაარსისა და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, კურსებში განსაზღვრულია შესაბამისი სწავლა/სწავლების მეთოდები. თითოეული კურსის სილაბუსში განმარტებულია სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები. თუმცა, ინტერვიურებიდან ირკვევა, რომ მითითებული სწავლების მეთოდის - **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** გამოყენების აღწერა ბუნდოვანია, ამასთანავე გამოგზავნილი დამატებითი დოკუმენტიც არ ადასტურებს მეთოდის შესაბამისი შინაარსით გამოყენებას. სასურველია ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსში დეკლარირებული სწავლის შედეგების შესაბამისი მეთოდები იყოს მითითებული.

სწავლის მეთოდები შეესაბამება საბაკალავრო სწავლების საფეხურს და კურსის შინაარსს. შერჩეული სწავლა/სწავლების მეთოდების გამოყენებით შესაძლებელია, როგორც კონკრეტული სასწავლო კურსის, ისე პროგრამის შედეგების მიღწევა.

სასწავლო კურსების სწავლებასთან დაკავშირებით სტუდენტთა გამოკითხვის მონაცემების საფუძველზე, სადაც განსაკუთრებული აქცენტი პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაძლერებაზე კეთდებოდა, სავალდებულო კურსებს დაემატა პროფესიული პრაქტიკა. მისი მიზანია, საუნივერსიტეტო განათლების თეორიული ცოდნის ტრანსფერის საფუძველზე, ხელი შეუწყოს სტუდენტებს განავითარონ აუცილებელი პრაქტიკული უნარები, რაც, თავის მხრივ, წარმატებული პროფესიული საქმიანობის წინაპირობაა. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებული და გაწერილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად და უზრუნველყოფს სტუდენტის მომზადებას პრაქტიკული საქმიანობის დასაწყებად. სსუ-ს შემუშავებული აქვს პრაქტიკის შეფასებისა და გაფორმების ინსტრუქცია. პროფესიული პრაქტიკის გავლის პერიოდში, სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს

აკადემიური პერსონალი ან მოწვეული მასწავლებელი, რომელიც არის დარგის კვალიფიციური სპეციალისტი. პროგრამაში მოცემული სასწავლო კურსები ასევე უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას, რაც გამომდინარეობს სწავლის შედეგებიდან და შეესაბამება სწავლების პირველ საფეხურს. თითოელი სასწავლო კურსი თეორიულ საკითხებთან ერთად ითვალისწინებს პრაქტიკულ სამუშაოს (ამოცანები, ქვიზები, პრაქტიკული სიტუაციების გაანალიზება, როლური თამაშები/სიმულაცია). საბაკალავრო პროგრამის აუცილებელი კომპონენტია საბაკალავრო ნაშრომის შესრულება, რომელიც წარმოადგენს უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის ფარგლებში მიღებული დარგობრივი ცოდნისა და ზოგადი უნარების, სხვადასხვა სფეროში პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობების დოკუმენტირებას. ნაშრომზე მუშაობა სტუდენტს უვითარებს დამოუკიდებელი საპროექტო/კვლევითი სამუშაოს წარმართვის საწყის უნარებს და ამზადებს წინაპირობებს, რათა სტუდენტმა უფრო მარტივად შეძლოს აკადემიური განათლების მე-2 საფეხურზე (მაგისტრატურა) სწავლა.

უნივერსიტეტში შექმნილია სტუდენტთა პრაქტიკისა და კარიერის მართვის სამსახური, რომელიც სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას ვაკანსიების შესახებ, სამსახური ამყარებს მჭიდრო ურთიერთობას კურსდამთავრებულებთან და უზრუნველყოფს უნივერსიტეტსა და მათ შორის ეფექტურ თანამშრომლობას, ასევე ახორციელებს კურსდამთავრებულთა დასაქმების მონაცემთა ბაზის შექმნას და მონიტორინგს, რაც დასტურდება კურსდამთავრებულთა ინტერვიურების საფუძველზე. უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები, რომელთა ფარგლებშიც ორგანიზაციები მზად არიან მიიღონ სტუდენტები და კურსდამთავრებულები სტაჟირებაზე, ჩაუტარონ საცნობარო შეხვედრები და თემატური სემინარები მათთვის საინტერესო საკითხებზე. ფაკულტეტზე ყოველწლიურად ეწყობა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები, სადაც აქტიურად არიან ჩართული ფაკულტეტის სტუდენტები. სტუდენტური ცხოვრების გამრავალფეროვნების, აგრეთვე დასვენებისა და კულტურული და სპორტული ღონისძიებების სერვისების ორგანიზებისთვის ფაკულტეტზე ფუნქციონირებს სტუდენტური თვითმმართველობა, რომლის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, სსუ წესდებითა და სსუ სტუდენტური თვითმმართველობის დებულებით. ამასთანავე ინტერვიურების დროს სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ღებულობენ მონაწილეობას სხვადასხვა პროექტებში, რომელიც ხორციელდება უსდ - ს ბაზაზე, მაგალითად, პანდემიის დროს სტუდენტების ინიციატივით უნივერსიტეტში გაიხსნა და ფუნქციონირებდა ფსიქოლოგიური მომსახურების კაბინეტი.

0

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- ინდივიდუალური გეგმები;
- პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსში დეკლარირებული სწავლის შედეგების შესაბამისი მეთოდები იყოს მითითებული.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

სასწავლო კურსის დასახელება: „საინფორმაციო ტექნოლოგიები ფსიქოლოგიაში“, რომლის შინაარსიც მორგებულია დარგის სპეციფიკას.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

o

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში სტუდენტების შეფასების ფორმები და მეთოდები

წინასწარ ცნობილია სტუდნეტებისთვის და გამჭირვალეა. თითოეული კურსის ფარგლებში სტუდენტის შეფასება შეადგენს მაქსიმალურ 100 ქულას, რომელშიც გათვალისწინებულია, როგორც მრავალკომპონენტიანი შუალედური შეფასება, ისევე დასკვნითი გამოცდა. სასწავლო კურსების შეფასება ითვალისწინებს სხვადასხვა მეთოდს, როგორიცაა ზეპირი გამოკითხვა, პრეზენტაცია, ესსეს მომზადება, შუალედური წერითი გამოცდა და სხვა. ზემოაღნიშნულის დეტალური აღწერა მოიპოვება თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთ აუცილებელ კომპონენტს შუალედურ შეფასებებაში წარმოადგენს წერითი შეფასება, რომლის მაქსიმალური ქულა შეადგენს მინიმუმ 20-ს. ასევე აღსანიშნავია, რომ შუალედურ და დასკვნით შეფასების ყველა კომპონენტშია ასახულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომელიც განისაზღვრება ლექტორის მიერ პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით. სტუდენტის დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობად მიღებულია შუალედური შეფასებების ჯამური კომპეტენციის 11 ქულა, ხოლო დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასების 45-60%. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია საბაკალავრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების ინსტრუქცია, რომელშიც დეტალურად გაწერილია საბაკალავრო ნაშრომის გაფორმების და შეფასების წესი, ასევე რეცენზენტის დასკვნის და შეფასების უწყისის ნიმუში. ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ სტუდენტებისთვის ცნობილია შეფასების გასაჩივრების პროცესი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; • საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები; • საბაკალავრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების ინსტრუქცია: https://www.sou.edu.ge/images/file/1551680097--2018_sabakalavro%20naSromis%20instruqcia.pdf • ოფიციალური ვებ-გვერდი www. sou.edu.ge; • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: **NA**
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის **NA**
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) o
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია 2014 წლის 5 აგვისტოს № 05/01-172 დადგენილებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, სადაც დეტალურად აღწერილია სტუდენტის სტატუსის მოპოვების, სასწავლო სემესტრის და სტუდენტის სემესტრული დატვირთვის, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის წესები. ასევე დეტალურად აღწერილია სტუდენტის უფლებები და მოვალეობები, სტუდენტის მიღწევების შეფასება და სხვა. თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ ინტერვიუს შედეგებიდან გამომდინარე, აღმოჩნდა, რომ სტუნდეტების ინფრომირებულობა კრედიტების სემესტრული განაწილების შესახებ არ არის საკმარისი. სასურველია, ყველა შესაძლებელი გზით სტუდენტების ინფორმირებულობის გაზრდა, მაგ. სტუდენტის გზამკვლევის შექმნა, სემესტრის დასაწყისში საგნების არჩევის დროს მეტი კომსულტაციის ჩატარება. საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისთვის არსებობს ასევე სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა, სადაც სტუდენტს აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმირების, მიღებული შეფასებებისა და მინიჭებული კრედიტების ნახვის საშუალება და სხვა. თუმცა ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ ეს ელექტრონული სისტემა არ არის სრულყოფილად გამოყენებული, მაგ. ყველა სასწავლო კურსის სილაბუსი არ არის ატვირტული, ასევე სასწავლო კურსების ცხრილი არასრულადაა ატვირთული და სხვა. ასევე სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია (ონალან სივრცეშიც) კონსულტაციები აკადემიურ პერსონალთან. თუმცა, ასევე ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მიწოდება ხდება სოციალური ქსელების საშუალებითაც. სასურველია, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ყველა საკითხი თავმოყრილი და ხელმისაწვდომი იყოს შესაბამის ზემოაღნიშნულ ელექტორნულ პლატფორმაზე და ამ მიზნით არ მოხდეს სოციალური ქსელების გამოყენება. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები რეგულარულად იღებენ ინფორმაციას ლოკალურ და საერთაშორისო კონფერენციებსა და კონგრესებზე, ისევე როგორც გაცვლით პროგრამებზე. სურვილისამებრ აქვთ შესაძლებლობა მიიღონ

მონაწილეობა ფსიქოლოგიის პროგრამის ფარგლებში გაცვლით ღონისძიებებში, რაც კარგად გამოვლინდა ინტერვიუს დროს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი: https://www.sou.edu.ge/images/file/1531127444--saswavlo-procesis-maregulirebeli-wesi_07_2018.pdf • უსდ-ს ოფიციალური ვებ-გვერდი • ინტერვიუ
რეკომენდაციები: **NA**
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ყველა საკითხი თავმოყრილი და ხელმისაწვდომი იყოს შესაბამის ზემოაღნიშნულ ელექტორნულ პლატფორმაზე და ამ მიზნით არ მოხდეს სოციალური ქსელების გამოყენება. • სასურველია, ყველა შესაძლებელი გზით კრედიტების სემესტრული განაწილების შესახებ სტუდენტების ინფორმირებულობის გაზრდა, მაგ. სტუდენტის გზამკვლევის შექმნა, სემესტრის დასაწყისში საგნების არჩევის დროს მეტი კომსულტაციის ჩატარება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) o
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამას ჩართულია 18 აკადემიური და 9 მოწვეული პერსონალი. პროგრამაში აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს; აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;

პროგრამის ხელმძღვანელი ფლობს პროგრამის შესაბამის აუცილებელ ცოდნას და გამოცდილებას, მისი კვალიფიკაცია დასტურდება სფეროს შესაბამისი განათლებით, პრაქტიკული გამოცდილებით და სამეცნიერო ნაშრომებით; პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურადაა ჩართულია პროგრამის განხორციელებაში;

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში, ძირითადად, ჩართულია სათანადო კვალიფიკაციისა და კომპეტენციის აკადემიური და მოწვეული პერსონალი.

პერსონალის უმრავლესობა, ფლობს შესაბამის სამეცნიერო ხარისხს და აქვს პრაქტიკული მუშაობის რამდენიმეწლიანი გამოცდილება. ამასთან, ერთეულ შემთხვევებში აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირად საქმეებში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომების რაოდენობა მცირეა. ზოგიერთი სასწავლო კურსის შინაარსი/შედეგები ნაკლებად შეესაბამება იმ აკადემიური/მოწვეული პერსონალის კომპეტენციასა და კვალიფიკაციას, რომელმაც ეს კურსი უნდა წაიყვანოს, რადგან კურსი გათვლილია პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალს, აკადემიური თანამდებობები დაკავებული აქვთ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, კონკურსის წესით. პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობასთან.

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამას შემუშავებული აქვს აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა. სქემაში აღწერილია აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვა, რაც უზრუნველყოფს პერსონალის შესაბამისობას, მათ ფუნქცია მოვალეობებთან.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობაში შედის ისეთი აქტივობები, როგორიცაა, სილაბუსების შემუშავება და მათი პერიოდული გადასინჯვა; სალექციო მეცადინეობების ჩატარება; პრაქტიკული სასემინარო დავალებების მომზადება; შუალედური და დასკვნითი გამოცდების საკითხების მომზადება; სასწავლო მეცადინეობებისთვის ქვიზების, პრეზენტაციების, პრაქტიკული სავარჯიშოების მომზადება;

ზემოთ ჩამოთვლილი საქმიანობის გარდა, აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალი ჩართულია სტუდენტების კონსულტირების და პროგრამის განვითარების პროცესებში, პროგრამის სამეცნიერო თუ პრაქტიკულ აქტივობებში; ასევე პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში;

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების უნივერსიტეტის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით;
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია, მათი ფუნქციების შესაბამისია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- წარმოდგენილი დოკუმენტაცია შესაბამისია უსდ-ს სტანდარტთან.
- პერსონალის Cv-ები;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინდივიდუალური დატვირთვის გეგმა;
- აკადემიური პერსონალის უნივერსიტეტთან აფილირების წესი;
- პერსონალის ფუნქციები და სამუშაო აღწერილობები;
- საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის
- სამსახურთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია ზოგიერთი სასწავლო კურსის შინაარსი/შედეგები შეესაბამებოდეს იმ აკადემიური/მოწვეული პერსონალის კომპეტენციასა და კვალიფიკაციას, რომელსაც მიყავს ეს კურსი, ვინაიდან სასწავლო კურსი გათვლილია პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, დოკუმენტაციის და ინტერვიუების შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ სოხუმის სახელმწიფო უნივერისტეტის მიზანია სამეცნიერო და აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა. შეფასებაში მონაწილეობას იღებენ სტუდენტები, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსის მართვის სამსახური. როგორც ჩატარებული ინტერვიუებიდან და თვითშეფასების ანგარიშიდან ირკვევა, პროგრამაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შესაძლებლობა აქვს, მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო კვლევებსა თუ კონფერენციებში. უნივერსიტეტში წესდებით გათვალისწინებულია აკადემიური პერსონალის (5 წელიწადში ერთხელ) 6 თვიანი სამეცნიერო შვებულება /მივლინება, ხელფასის სრული შენარჩუნებით. მიუხედავად იმისა, რომ თვითშეფასების დოკუმენტში საუბარია იმის შესახებ, რომ უნივერსიტეტი რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებას. ტარდება გამოკითხვები, ფასდება სასწავლო პროცესი, ანალიზირდება შედეგები, მუშავდება რეკომენდაციები და გამოიყენება სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად; სასურველი იქნება უნივერსიტეტში ფუნქციონირებდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობის შეფასების ელექტრონული სისტემა, სადაც ასახული იქნება კვლევისა და შემოქმედებითი საქმიანობის, სწავლებისა და აკადემიური ჩართულობის შესახებ პერმანენტულად განახლებადი ინფორმაცია. უნივერსიტეტი ატარებს ტრენინგებს, სემინარებსა და კონფერენციებს;

უნივერსიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია საერთაშორისო კონფერენციების/კონგრესების/სამეცნიერო ფორუმების და ა.შ. დაფინასება; განსაკუთრებულად აღსანიშნავია, პერსონალის განვითარების შესაძლებლობა ინკლუზიური სწავლების მიმართულებით. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, ის რომ აკადემიურ პერსონალი ფლობს ზოგად ინფორმაციას, უნივერსიტეტში არსებული მისაწვდომი რესურსის შესახებ. ინტერვიუში ისინი აღნიშნავდნენ, რომ უნივერსიტეტს აქვს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების და პროფესიული ზრდის პროგრამები და შემოთავაზებები, მაგრამ დეტალურად ვერ ისაუბრებდნენ ამის შესახებ, რადგან თავად არ უსარგებლიათ ამ შემოთავზებით. სასურველია უნივერსიტეტში მოქმედებდეს ადმინისტრაციის მიერ პერსონალის წამახალისებელი ღონისძიებების სისტემა, რომელიც მოემსახურება მოწვეული პერსონალის მოტივირებას, რათა აკადემიური პერსონალი უფრო მეტად გააქტიურდეს და ჩაერთოს როგორც კვლევითი საქმიანობის, ისე უსდ-ს მიერ შეთავაზებულ განმავითარებელ აქტივობებში, რაც ხელს შეუწყობს პერსონალის აკადემიური და სამეცნიერო პოტენციალის განვითარებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • დოკუმენტაციაში წარმოდგენილი ტრენინგები, რაც პერსონალის განვითარებას უწყობს ხელს; • თვითშეფასების ანგარიში; • აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგები;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

შესაბამისობა X **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კოვიდ 19 პანდემიის რეგულაციებიდან გამომდინარე, პროგრამის შეფასება განხორციელდა ზუმის საკომუნიკაციო პლატფორმის დახმარებით. შესაბამისად, მიღებული ინფორმაცია ეყრდნობა ონლაინ დათვალიერების, წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ინტერვიუს შედეგებს. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. აუდიტორიების, სამედიცინო პუნქტის და უსაფრთხოების სისტემა გათვლილია სტუდენტების და პერსონალის საჭიროებებზე. უნივერსიტეტში არსებულ ბიბლიოთეკაში, სტუდენტებისთვის მისაწვდომია სასწავლო კურსებით განსაზღვრული სახელმძღვანელოები. ონლაინ ვიზიტის ფარგლებში ბიბლიოთეკის წარმომადგენელთან ინტერვიუირებისას შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა რამდენიმე სახელმძღვანელო. ბიბლიოთეკის რესურსი ხელმისაწვდომია, როგორც ადგილზე მომსახურებით, ისე ელექტრონულ ფორმატში. მნიშვნელოვანია, რომ ბიბლიოთეკის და საერთო სივრცეების სარგებლობისას, გათვალისწინებულია სპეციალური სსმ- პირების საჭიროებები. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა საინვენტარიზაციო წიგნის მიხედვით მოიცავს 40 000 - მდე ბეჭდურ წიგნს, ასევე უნივერსიტეტის ბაზაზეა ელექტრონული ბიბლიოთეკა, შესაბამისი საიტი, ელექტრონული კატალოგი, სადაც ატვირთულია დაახლოებით 1000 - მდე სახელმძღვანელო. უნივერსიტეტს ჟურნალ-გაზეთების მიწოდებაზე გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს - „პლანეტა ფორტესთან“, რის საფუძველზეც ხდება პერიოდული გამოცემების მოწოდება. უნივერსიტეტს შპს - ,,ინოვეითივ სისტემს მენეჯმენტთან“ გაფორმებული აქვს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლითაც დაწესებულების ბიბლიოთეკა ჩართულია საქართველოში მოქმედ საუნივერსიტეტო და კვლევითი ინსტიტუტების საბიბლიოთეკო ქსელში. სამკითხველო დარბაზში მოცემულია წიგნების საძიებო ანბანური და სისტემური

კატალოგები. სტუდენტებსა და პერსონალს აქვთ საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა. შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის ინიციატივით, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება „Clarivate Analytics“ ჯგუფთან, რაც გულისხმობს „ტომსონ როიტერის“ ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებზე წვდომას. უნივერსიტეტი იყენებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. დაწესებულების საკუთრებაში არსებული თანამედროვე პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერების საერთო რაოდენობაა 500 - მდე ერთეული. კომპიუტერები და ინტერნეტი ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის. უნივერსიტეტში დანერგილია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა, რომელსაც იყენებენ როგორც სტუდენტები, ისე აკადემიური პერსონალი. უნივერსიტეტის ვებგვერდი საშუალებას იძლევა, სტუდენტი გაეცნოს ნებისმიერ სილაბუსს, შეამოწმოს თავისი აკადემიური მოსწრება, ნახოს დავალებები და ა.შ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საბიბლიოთეკო რესურსი; • ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის შესაბამისობა საგანმანათლებლო • პროგრამებში მითითებულ ძირითად ლიტერატურასთან; • ბიბლიოთეკის წარმომადგენლებთან ინტერვიუსა და სისტემის დემონსტრირების შედეგები; • თვითშეფასების ანგარიში
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება X **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ფინანსური რესურსები, რაც ეკონომიკურად მიღწევადია. ინტერვიუს მსვლელობისას, ცნობილი გახდა, რომ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი ბიუჯეტი უნდა ჩანაცვლდეს ბიუჯეტის ახალი დოკუმენტით, რომელიც ითვალისწინებს 2022 სასწავლო წლის ხარჯებს. 2021 წლის ბიუჯეთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია, დამატებითი ინფორმაციის მიღება, დაფინანსების წყაროებთან დაკავშირებით. ახალ ბიუჯეტში, რომელიც დამატებითი დოკუმენტის სახით მოგვაწოდა უნივერსიტეტმა არ არის მითითებული დაფინანსების წყაროები, რაც პროგრამის მდგრადობასთან დაკავშირებით დამატებით კითხვებს აჩენს. მნიშვნელოვანია, რომ ბიუჯეტში გამოყოფილია თანხები: აკადემიური და დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურებისათვის; აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისათვის; სამეცნიერო კონფერენციების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების ხარჯები; კვლევების განვითარების და სამეცნიერო ლიტერატურის შეძენისათვის; სტუდენტური აქტივობებისათვის;
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტი; • ინტერვიუს შედეგები;
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია უნივერსიტეტმა იფიქროს ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის დაფინანსების მდგრადობაზე და მოიძიოს დაფინანსების ალტერნატიული საშუალებები. სასურველია 2021 წლის ბიუჯეტში

დეტალურად იყოს განმარტებული დებულება „სხვა შემოწირულობების“ შესახებ.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საკუთარ საქმიანობაში, პროცესების მართვასა და პროცედურების დაწესებაში, ემყარება, როგორც საერთაშორისო რეგულაციებისა და დოკუმენტაციის, ასევე საუნივერსიტეტო სივრცეში შემუშავებულ რეგულაციებს, რაც ხელს უწყობს უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის ამაღლებას. წინამდებარე საუნივერსიტეტო რეგულაციები აგებულია უნივერსიტეტის მისიასა და ღირებულებებზე, დარგების სპეციფიკასა და უახლეს გამოწვევებზე. საუნივერსიტეტო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არეგულირებს, აწესრიგებს და მართავს სწავლა-სწავლების, კვლევისა და სერვისების პროცესებს საუნივერსიტეტო სივრცეში. უნივერსიტეტში მოქმედებს ხარისის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც იგეგმება ციკლის მიხედვით: ***დაგეგმვა-განხორციელება-შეამოწმე-განავითარე***.

უნივერსიტეტში შემუშავებულ მარეგულირებელ დოკუმენტთა შორის უწინარესად უნდა დასახელდეს „***სწავლების ხარისხი განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმი***“, რომელიც აღწერს საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესის, კვლევებისა და პერსონალის შეფასების მექანიზმებს, რომელთა შორისაც უნდა დასახელდეს *თვითშეფასების კომპონენტი, გამოკითხვები, ანკეტირება და გარე შეფასებები*. საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცესში საუნივერსიტეტო ხარისხის სამსახური მნიშვნელოვნად მიიჩნევს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეების ჩართულობას, მათი მოსაზრებებისა და მიდგომების კვლევას საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებაში. მასალებში წარმოდგენილი კვლევების მიმართულია კონკრეტულ (ფსიქოლოგია) საგანმანათლებლო პროგრამაზე, მათ შორისაა დასაქმების ბაზრის კვლევა, რომელიც მომზადდა წამყვანი ორგანიზაციების და სახელმწიფო უწყების ეიჩარებთან (როგორ კერძო, ისე საჯარო სექტორიდან), ასევე განათლების ექსპერტებთან, რომლებიც მუშაობენ სოციალური მეცნიერებების მიმართულებით. კვლევა განხორციელდა თვისებრივი კვლევის - სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდის გამოყენებით და ჩატარდა 15 სიღრმისეული ინტერვიუ. კვლევის მასალები იმდენადაა საინტერესო, რამდენადაც ის ემყარება კონკრეტულ მეთოდოლოგიას. ანგარიში მოიცავდა სამაგიდო კვლევას და განახლებულ სტატისტიკურ მონაცემებს დასაქმების სააგენტოებიდან. მას ჰქონდა მეორე ნაწილი,

სადაც მოცემული იყო სიღრმისეული ინტერვიუს ანალიზი და რეკომენდაციები. კომუნიკაცია შედგა ჰიბრიდულად. კვლევის დოკუმენტს, რომელიც შესრულდა ა(ა)იპ ახალგაზრდა მკვლევართა და ანალიტიკოსთა გაერთიანების მიერ, წარმოდგენილია ასევე 6-პუნქტიანი რეკომენდაციის სკალა დასკვნით ნაწილში, სადაც მნიშვნელოვნად არის შეფასებული საგანმანათლებლო პროგრამაში პრაქტიკის წილის გაზრდა.

კლევებში ასევე წარმოდგენილია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში, სადაც რამდენიმე რუბრიკაა წარმოდგენილი, მათ შორის:

- ✓ სტუდენტთა და კურსდამთარებულთა რაოდენობრივი მაჩვენებლები;
- ✓ კურსდამთავრებულთა თვისებრივი მაჩვენბლები;
- ✓ კურსდამთავრებულთა სამაგისტრო პროგრამაში ჩართვის მაჩვენებელი;
- ✓ კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელ მინიჭებული კვლაიფიკაციის შესაბამისად.

კვლევა ჩატარდა 2021 წელს პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდების გამოყენებით. რომლის თანახმადაც პროგრამით დაინტერესებულ პირთა რაოდენობა თითქმის ორჯერ მზარდია (2016 წელს დარეგისტრირდა 18, ხოლო 2020 წელს - 32 აპლიკანტი). ასევე მზარდია პროგრამაზე სწავლის მსურველ პირთა რაოდენობა (თუ 2016 წელს სამივე არჩევანით - 926, ხოლო 2020 წელს - 1809). სტუდენტები ასევე ხშირად მიმართავენ მობილობის შესაძლებლობას, თუმცა ეს რიცხვი უკანასკნელ წლებში სტაბილურია (2 სტუდენტი). საშუალო მაჩვენებელია დღემდეს პროგრამის კურსდამთავრებულთა რაოდენობაში.

პროგრამის ათვისებაზე მეტყველებს ის საშუალო სტატისტიკური მაჩვენებელი 'კარგი', რაც რამდენიმე წელია უცლელია (პროგრამას კარგზე ძლევს დაახლ. 40%). კურსდამთავრებულთა დაახლოებით 28% აგრძელებს სწავლას მაგისტრსტურაში, რაც საშუალო სტატისტიკურად აკმაყოფილებს სამიზნე ნიშნულებს - 30%. და გამოკითულ 54 კურსდამთავრებულთაგან დასაქმება მოდის 61%-ზე, მათ შორის პროფილით 26% (დასაქმებულთა თითქმის ნახევარი). ამრიგად, ზოგად, პროგრამა მუშაობს და აქვს კონკრეტული დადებითი შედეგები. რაც შეეხება რეკომენდაციებსა და რჩევებს, რაც გამოიკვეთა დასკვნებში, განხილულია პროგრამის მხარდამჭერი კომიტეტის მიერ და მეტწილად უკვე ასახულია რეაკრედიტაციის რეჟიმში წარმოდგენილ პროგრამის პორტფოლიოში. მაშასადამე, საფაკულტეტო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, გამომდინარე საფაკულტეტო და დარგობრივი სპეციფიკიდან, ინდივიდუალურად აფასებს ხარისხის შიდა შეფასების პროცესებს და აქტიურადაა ჩართული წინამდებარე პროცესების განვითარებასა და ცალკეული საუნივერსიტეტო პროცესების გაუმჯობესებაში.

უნივერსიტეტის ხარისხის უზურნველყოფის სამსახურს შემუშავეული აქვს ***საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგა***, რომელშიც ზუსტადაა ჩამოყალიბებული ყველა დეტალი, რაც უკავშირდება, ერთი მხრივ, საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, ხოლო, მეორე მხრივ, პროგრამის განვითარების ხანგრძლივ და რთულ პროცესს.

მოცემული მარეგულირებელი დოკუმენტები დეტალურად და თანმიმდევრულად ასახავენ ყველა პროცესსა და პროცედურას, რომელსაც ინსტიტუციის შიდა ხარისხის შეფასება გულისხმობს, რაც დამაჯერებლად აჩვენა კვლევების

ანალიზმაც.
ამას გარდა ადგილზე წარმართული ინტერვიუების შედეგად ექსპერტთა ჯგუფს ნათელი წარმოდგენა შეექმნა დოკუმენტურად მოცემული რეგულაციების ცალკეულ საკითხებზე. ინტერვიუებმა აჩვენა, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, საფაკულტეტო ადმინისტრაცია, ასევე პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლები მუდმივად ჩართულნი არიან აკადემიური პროცესებსა და შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაში. ეს რეალურად და ფაქტობრივად აისახა კიდეც თვითშეფასების დოკუმენტზე მუშაობის პროცესში, სადაც ფაკულტეტის ხარისხის სამსახურისა და პროგრამის ხელმძღვანელებთან ერთად ყოველ ეტაპზე აქტიურად თანამშრომლობდა როგორც აკადემიური პერსონალი, ისე დამსაქმებელი და სტუდენტები, რაც ასევე დადასტურებულია თვითშეფასების ჯგუფის პროტოკოლიზებულ დოკუმენტებში.
ინსტუტუცია ხარისხის შიდა შეფასებას ხედავს, როგორც გარე შეფასების ერთგვარ წინაპირობას, რაც პროცესების ზუსტი შეფასებაა. წინამდებარე საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა შიდა შეფასების ფარგლებში ასოცირებული პროფესორის ელენე ჩომახიძის მიერ. ის ასევე გაანალიზდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ და პროგრამას მიეცა რეკომენდაცია აკადემიური საბჭოზე წარსადგენად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;
- სტუდენტთა და სხვა დაინტერესებულ პირთა გამოკითხვის შედეგები;
- თვითშეფსების სხდომის ოქმები;
- დასაქმების ბაზრის კვლევა;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში
- შიდა შეფასების დასკვნა;
- ვიზიტის პროცესში შემდგარი ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

–

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- რეგულარულად მომზადდეს მიზნობრივი, თემატური ვოკშოპები საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილე აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და დამსაქმებელთათვის ხარისხის განვითარების თემებზე, უახლესი თემების გაზიარების მიზნით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

–

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

–

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში დეტალურადაა წარმოდგენილი ყველა მნიშვნელოვანი ცვლილება, რაც პროგრამას წარდგენილი ჰქონდა ხარისხის გარე შეფასების შემდგომ, კერძოდ კი, 2012 (28.11.2011, N738) წლის აკრედიტაციის ექსპერტთა შეფასების შედეგად. ამას გარდა, საგანმანათლებლო პროგრამის გარე ხარისხის შეფასება შესაძლებელი გახდა ავტორიზაციის პროცესშიც. აქვე უნდა აღნიშნოს, რომ უსდ პეროდულად წარადგენს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ინფორმაციას თვითშეფასების ანგარიშის სახით დადგენილი ვადებისა და ფორმების შესაბამისად.

თვითშეფასების ანგარიშზე თანდართულ პაკეტში წარმოდგენილი იყო კურსდამთავრებულთა კვლევა, რომელშიც ასახულია მეტწილად კურსდამთავრებულთა პოზიტიური დამოკიდებულება საგანმანათლებლო პროგრამის, განმახორციელებელი აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მიმართ.

წინამდებარე პროგრამის გარე შეფასება განხორციელდა მოლდოვის რესპუბლიკის პედაგოგიური უნივერსიტეტის ასოც. პროფესორის ალ. ბარბანეაგრას მიერ. პროგრამის შეფასების ნაწილში აღნიშნულია, რომ საგანმანათლებლო პროგრამა განახლებულია და მასში ასახულია დარგის აქტუალური გამოწვევები. ამას გარდა, ექსპერტი განმარტავს, რომ საგანმანათლებლო პროგრამა სტუდენტებს საშუალებას აძლევს დარგის თეორიული ფუნდამეტური საკითხები გაიმყაროს პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა პრაქტიკული დისციპლინებში შეძენილი უნარების საფუძველზე. გარე კოლეგიური შეფასება განხორციელდა ასევე ქართველი ექსპერტის მიერ, კერძოდ საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა სეუ-ს პროფესორის ლ.ქურხულის მიერ, რომელიც წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამას პოზიტიურად აფასებს.

კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს პროცესში აღინიშნა, რომ კურსდმთავრებულები მეტწილად იცნობენ სააკრედიტაციოდ წარდგენილ და განახლებულ პროგრამას. ისინი მნიშვნელოვნად თვლიან მიმდინარე სიახლეებს, კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამაში პრაქტიკის კომპონენტის გაძლიერებას. გარე შეფასების საფუძველზე ცალკეული რეკომენდაციების შედეგად პროგრამაში გაძლიერდა კვლევისა მიმართულება (ალბათობა და სტატისტიკა - 6 კრედიტი, პრეკალკულუსი - 3 კრედიტი, კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში - 6 კრედიტი, საინფორმაციო ტექნოლოგიები ფსიქოლოგიაში - 6 კრედიტი) და პრაქტიკის კომპონენტი (პროფესიული პრაქტიკა - 6 კრედიტი,).

დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, პროგრამა საინტერესოა თუმცა დამსაქმებელთა ძირითადი ნაწილი ამჯობინებს კურსდამთავრებულთა პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაძლიერებას, რაც უკვე ახალი პროგრამით მიღწევადია, თუმცა აღიარებენ, რომ კურსდამთავრებულებს აქვს

კარგი თეორიული მომზადება დარგში. მნიშვნელოვანი იქნებოდა ასევე გარე შეფასების არეალის გაფართოება ინტერნაციონალიზაციის ფარგლებში უცხოელ დარგის ექსპერტთა მიერ (რასაც თვით ინსტიტუციაც აღნიშნავს), რაც ხელს შეუწყობს არამხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებას, არამედ პროგრამის კარგი საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარებას და დარგში საერთაშორისო მიდგომების გაცნობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია; • საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები; • სტუდენტთა და სხვა დაინტერესებულ პირთა გამოკითხვის შედეგები; • პროგრამის გარე კოლეგიალური შეფასება; • დამსაქმებელთა გამოკითხვა; • კურსდამთავრებულთა გამოკითხვა; • შეფასება და ანალიზი; • ვიზიტის პროცესში შემდგარი ინტერვიუები.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია განხორციელდეს ასევე საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ინტერნაციონალიზაციის ფარგლებში უცხოელ დარგის ექსპერტთა მიერ.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსუ-ში საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის პროცესში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს როგორც შიდა, ისე გარე შეფასების მექანიზმებს, რომლის შედეგების დამუშავება და ანალიზი რეგულარულ წარმოდგენას იძლევა პროგრამის რეალურ ვითარებაზე.

მონიტორინგის ნაწილში უმაღლესი სასწავლებელი

- აკვირდება: სასწავლო და საგამოცდო პროცესს,
- აანალიზებს: სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შედეგებს, სტუდენტთა გამოკითხვებს, გამოცდების შედეგებს;
- აფასებს: აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის საქმიანობას, სასწავლო და საგამოცდო მასალებს;

ასევე იწარმოება კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა და სხვა დაინტერესებულ პირთა გამოკითხვები.

მონიტორინგის პროცესი პროგრამის განმახორციელებლებმა გამოიყენეს კურიკულუმის განვითარების მიზნით.

დაწესებულებას აქვს სტუდენტებთან მჭიდრო კავშირი, რათა გამოიკითხვის მეშვეობით დაადგინონ მიმდინარე პრობლემები. ამისთვის გამოიყენება პირდაპირი მიმართვა, განცხადების სახით მიმართვა, სტუდენტების გამოკითხვა. ხდება საგამოცდო მასალის და შეფასების სისტემის შეფასება/მონიტორინგი. ამ დროს სწავლობენ საგამოცდო პროცესის მიმდინარეობის შესწავლას, ასევე მიღებული შედეგების ანალიზს.

უსდ-ს მიერ მოწოდებული მასალების, ინტერვიუებისა და ინფრასტრუქტურის გაცნობამ დაადასტურა ის ცვლილებები, რაც განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების საფუძველზე.

- **მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- სსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევები, გამოკითხვები;
- შეფასება და ანალიზი;
- პროგრამის შეფასების შედეგები, გამოკითხვა;
- ვიზიტის პროცესში შემდგარი ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

–

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია თუ უნივერსიტეტის ხარისის უზრუნველყოფის სამსახური დაგროვილი გამოცდილებისა და გაზიარებული პრაქტიკის საფუძველზე შეიმუშავებდა რიგგარეშე მონიტორინგის მეთოდოლოგიას საგანმანათლებლო პროგრამებზე პერმანენტული დაკვირვებისა და მათი ეტაპობრივი განვითარების მიზნით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

–

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

–

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: ფსიქოლოგია, უმაღლესი განათლების პირველი საფეხური

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 48

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა ქეთევან ბერიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა ნათია სორდია

სახელი, გვარი, ხელმოწერა მარიამ ალანია

სახელი, გვარი, ხელმოწერა ნინო ქიმერიძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა ლანა ბოკუჩავა